

**სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის
სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის
აქტი № 257**

თბილისი

04-06-2024

ობიექტის დასახელება: შპს ელიტური სკოლა "გორდა"

ობიექტის მისამართი : პეტრე მელიქიშვილის II შესახვევი N 8 (ბათუმი)

საიდენტიფიკაციო ნომერი: 245439020

ობიექტის მფლობელი/მესაკუთრე: შპს ელიტური სკოლა "გორდა"

ობიექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, პირადი ნომერი: ნინო მურვანიძე, 61002007652

შემოწმებაში მონაწილე ობიექტის წარმომადგენელი: ნინო მურვანიძე - დირექტორი; ზურაბ ლაზარიაშვილი - პასუხისმგებელი პირი;

ობიექტის შემოწმების განმახორციელებელი ზედამხედველობის ინსპექტორ(ებ)ი:

- გრიგოლ ბარბაქაძე - უფროსი ინსპექტორი
- მამუკა სარაჯიშვილი - უფროსი ინსპექტორი
- ნიკა ქათამაძე - უმცროსი ინსპექტორი

შემოწმების თარიღი : 04-06-2024 დან 04-06-2024 მდე

ობიექტის შემოწმების საფუძველი : საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს უფროსის (თავმჯდომარის) 2024 წლის 28 მაისის №1568487 სამსახურებრივი ბარათი.

ობიექტის შენობა-ნაგებობები რაზედაც ჩატარდა სახანძრო-ტექნიკური შემოწმება გამოკვლევა: პეტრე მელიქიშვილის II შესახვევი N 8.

ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგა წინამდებარე აქტი:

1. ობიექტზე (შენობა-ნაგებობა) სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების ანალიზი და შეფასება:

(აღინიშნება სახანძრო უსაფრთხოების საორგანიზაციო ღონისძიებათა, ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული დოკუმენტების, ბრძანებების, ინსტრუქტაჟების შესაბამისი ინსტრუქციების და სხვათა არსებობა. შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.)

შესამოწმებელი სკოლის შენობის საერთო ფართი შეადგენს 1897.76 კვ.მ, რომელიც გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად:

- ობიექტის თანამშრომლებს გავლილი აქვთ სწავლება სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ, ხანძარსა და ალკოჰოლიანი სასმელების გამოყენების შესახებ, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;

- უზრუნველყოფილია არანაკლებ ნახევარ წელიწადში ერთხელ ხანძრის დროს პერსონალის მოქმედებების გავარჯიშება, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ყველა ელემენტის გამართული მუშაობის შემოწმების პარალელურად, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;

- ობიექტზე დანიშნულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;

- სკოლის შენობის 5 სართულიანი კორპუსის სხვენის ხის კონსტრუქციები დამუშავებულია შესაბამისი ცეცხლგამძლე დოგობის მქონე ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით, სათანადო აქტის გაფორმებით, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს.

- ობიექტის საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ერთიანი სატელეფონო ნომერი "112", რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;

2. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობა და შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, სკოლის შენობა დაკომპლექტებულია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით - ცეცხლმაქრებით, ზღვრული დასაცავი ფართობის და ცეცხლმაქრის ტიპის გათვალისწინებით, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს.

3. ობიექტის (შენობა-ნაგებობა) საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების შეფასება:

(აღინიშნება ობიექტის საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

სკოლის შენობას გააჩნია სათანადო რაოდენობის საევაკუაციო გასასვლელები, რაც აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

- საევაკუაციო კიბეების მდგომარეობა აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს,

- შენობაში ყველა საევაკუაციო კარი იღება ევაკუაციის მიმართულებით, რაც აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

4. ელექტრომონყობილობების და ელექტროქსელების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ელექტრომონყობილობების და ელექტროდანადგარების მონყობის შესაბამისობა ნორმატიულ მოთხოვნებთან, ელექტროქსელების მონტაჟის და ექსპლუატაციის მდგომარეობა და სხვ)

- შენობის ელექტრო მონყობილობების და ელექტროქსელის ზოგადი მდგომარეობა აკმაყოფილებს ელექტროდანადგარების მონყობის წესებს.

5. კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და გათბობის სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება სავენტილაციო კამერების, მზლუდავი კონსტრუქციების, არხების, ჰაერსატარების ცეცხლმედეგობის ხარისხის,

გაყვანისა და მონტაჟის, აგრეთვე თბომაგენერირებელი სისტემების მოწყობის შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

ობიექტს არ ესაჭიროება კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა.

6. სახანძრო სიგნალიზაციის მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება სახანძრო სიგნალიზაციის საჭიროება, მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

-ობიექტზე დამონტაჟებულია ზონალური ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია, რომელიც მუშა მდგომარეობაშია და აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;

-მიმღებ-მაკონტროლებელი მართვის პულტი (პანელი) აყვანილია 24 საათიანი მეთვალყურეობის ქვეშ, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს. მართვის პულტთან გამოკრულია ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების და სახანძრო ავტომატიკის გაუმართაობისას მორიგის მოქმედებების წესებს, აგრეთვე მორიგის მოქმედებების აღწერას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მართვის განსახორციელებლად. აღნიშნული სათავსი აღჭურვილია სატელეფონო ან/და ხმამაღლა მოლაპარაკე კავშირის მოწყობილობით და არანაკლებ 3 (სამი) გამართული ელექტრო ფარნით. რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს.

-სახანძრო სიგნალიზაციის განგაშის დროს ლიფტი ეშვება პირველ ძირითად სართულზე და რჩება ღია ბლოკირებულ მდგომარეობაში, რაც აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

7. ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების საჭიროება, მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა, საევაკუაციო განათების არსებობა და მდგომარეობა, ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმების არსებობა, საევაკუაციო გზების მანიშნებელი ნიშნების არსებობა. შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- ობიექტზე დამონტაჟებულია ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემა, რომელიც არის მუშა მდგომარეობაში და შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;

- საევაკუაციო გზებზე დამონტაჟებულია "საევაკუაციო გზის" მიმართულების და "გასასვლელი"-ს მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;

-საევაკუაციო გზებზე სრულად არის დამონტაჟებული ავარიული განათება , რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;

- შენობისთვის შემუშავებულია და საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში გამოკრულია ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმები, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს

8. ობიექტის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების საჭიროება, არსებულის მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

ობიექტს ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობა არ ესაჭიროება.

9. ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების შეფასება:

(აღინიშნება შიდა და გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობა, საჭიროება და მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- ობიექტს შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემის მოწყობა არ ესაჭიროება;
- რაც შეეხება გარე სახანძრო წყალმომარაგებას, შენობის მიმდებარედ 200 მეტრის რადიუსში არის სახანძრო ჰიდრანტი, რომელიც წყლით მარაგდება ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;

10. აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებათა შენახვის პირობების შეფასება:

(აღინიშნება აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებათა შენახვის პირობები და მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

ობიექტზე შემონმების პერიოდისათვის არ ინახება და არ გამოიყენება აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებები.

შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ:

შეესაბამება

არ შეესაბამება

ზედამხედველობის ინსპექტორი:

ხელმოწერა

გრიგოლ ბარბაქაძე

მამუკა სარაჯიშვილი

ნიკა ქათამაძე